

GE პროფერტილი

ვიტამინების, ამინომჟავების და მიკროელემენტების კომპლექსი მამაკაცის უშვილობის სამკურნალოდ

უშვილობის მკურნალობას უკანასკნელ წლებში სულ უფრო მზარდი მნიშვნელობა ენიჭება პრაქტიკულ მედიცინაში. განაყოფიერების შეფერხების მიზეზი ბევრია, რომელიც დაკავშირებულია როგორც ქალის ისე მამაკაცის ფაქტორთან. ქალის უშვილობის დროს გამოყენებული მკურნალობის მრავალფეროვანი მეთოდების საპირისპიროდ, მამაკაცის უშვილობის მკურნალობის დროს, ექიმის არჩევანი ერთობ შეზღუდულია და დაკავშირებულია ისეთი უმნიშვნელოვანესი ამოცანის შესრულებასთან, როგორცაა სპერმის ხარისხის გაუმჯობესება.

მამაკაცის სპერმის ხარისხის გაუარესება მთელი რიგი ფაქტორებითაა განპირობებული. ისეთებით როგორებიცაა: გარემოს დაბინძურება (ტოქსიური ნარჩენები, მძიმე მეტალები, საწარმოო ობიექტებისა და ტრანსპორტის გამონაბოლქვი, სხვა მავნე სუბსტანციები, ისევე როგორც ისეთი ბუნებრივი ფაქტორები, როგორცაა მაგალითად მზის ხანგრძლივი და ექსტრემალური დასხივება); მავნე ჩვევები (ნიკოტინი, ალკოჰოლის მოხმარება და ა. შ.); ცხოვრების წესის შეცვლასთან დაკავშირებული ფაქტორები (ინტენსიური სტრესი, კვების დეფიციტი). ზემოაღნიშნული მავნე ფაქტორები აფერხებენ არა მარტო სპერმატოგენეზის მთელ პროცესს, ყოველი მამაკაცის სპერმაში არსებული სპერმატოზოიდების მოძრაობას და მათ რაოდენობას. სპერმის წარმოქმნა ბიოლოგიურად რთული და კომპლექსური პროცესია. ის რამდენიმე კვირა გრძელდება და ამიტომაც მავნე ფაქტორების ზემოქმედება სპერმატოგენეზზე საკმაოდ ადვილად ხდება.

სპერმატოგენეზის პროცესში მამაკაცის ორგანიზმს ესაჭიროება მრავალი ნივთიერება (სუბსტანცია), რომელიც უზრუნველყოფს სპერმატოგენეზის ნორმალურ მსვლელობას. ესენია: ამინომჟავები, მიკროელემენტები, ვიტამინები და ვიტამინების მსგავსი ნივთიერებები. მხოლოდ ყველა ზემოაღნიშნული სუბსტანციის არსებობისა და საკმარისი კონცენტრაციის პირობებში არის შესაძლებელი, რომ სპერმატოგენეზი შეუფერხებლად და ნორმალურად მიმდინარეობდეს.

ამავე დროს ნებისმიერ მავნე ფაქტორს, გარემოს დაბინძურება იქნება ეს თუ ცხოვრების არაჯანსაღ წესთან დაკავშირებული პრობლემები, შეუძლია ძალზე იოლად და სწრაფად დაარღვიოს სპერმატოგენეზისათვის აუცილებელი ნივთიერებების სინთეზის პროცესი, რაც ხშირად მამაკაცისათვის უცნობი რჩება. შესაბამისად, სპერმატოგენეზისათვის აუცილებელი ნივთიერებების დეფიციტის რეგულარული შევსება ძალიან მნიშვნელოვანია.

მათი სასიცოცხლო როლი სპერმატოგენეზის პროცესში დეტალურადაა შესწავლილი და თვალსაჩინოდ აღწერილი მეცნიერების მიერ. ცალკეული ნივთიერების დადებითი ზემოქმედება სპერმატოგენეზის პროცესზე უდავოა, რაც დადასტურდა მრავალ კლინიკურ კვლევაში და ექსპერიმენტში.

პროფერტილი – სპერმატოგენეზისათვის აუცილებელი აქტიური სუბსტანციების სპეციფიური და მაღალეფექტური კომბინაციაა, რაც დადასტურებულია მრავალრიცხოვანი სამეცნიერო კვლევებითა და კლინიკური პრაქტიკით. პროფერტილის მიღება მისი სპეციფიური ზემოქმედების წყალობით უზრუნველყოფს სპერმის ხარისხსა და მამაკაცის ფერტილობის (შვილოსნობის) ფუნქციის გაუმჯობესებას.

პროფერტილის შემადგენლობა

ინგრედიენტები	დღიური დოზა (2 კაფსულა)
L-კარნიტინი	440 მგ
L-არგინინი	250 მგ
კოენზიმი Q 10	15 მგ
ვიტამინი E	120 მგ
თუთია	40 მგ
ფოლიუმის მჟავა	800 მკგ
გლუტატონი	80 მგ
სელენიუმი	60 მკგ

ინფორმაცია ცალკეული შემადგენელი ნივთიერებების მიხედვით.

პროფერტილი შეიცავს სპეციფიკურ და სამეცნიერო კვლევებით აპრობირებულ განსაკუთრებულ სუბსტანციებს - ნივთიერებებს, რომლებიც აუცილებელია სპერმატოგენეზის პროცესის ნორმალური მსვლელობისათვის. ეს სუბსტანციები აწესრიგებენ მამაკაცის ორგანიზმში მიმდინარე ნივთიერებათა ცვლის პროცესს და აგებენ მათზე ორგანიზმის მოთხოვნილებას უშვილობის დროს.

სამეცნიერო კვლევებითა და კლინიკური პრაქტიკით დადასტურებულია, რომ პროფერტილის მიღება, მის შემადგენლობაში შემავალი ინგრედიენტების სპეციფიკური კონცენტრაციისა და კომბინაციის წყალობით, სარწმუნოდ აუმჯობესებს სპერმის ხარისხს და უზრუნველყოფს ნორმალურ სპერმატოგენეზს.

L-კარნიტინს გამოიმუშავენს ადამიანის ორგანიზმი და ის ემსახურება სპერმატოზოიდებს ენერგეტიკული სუბსტრატის სახით. L-კარნიტინი ზრდის სპერმატოზოიდების რაოდენობას და აუმჯობესებს მათი მოძრაობის უნარს.

L-არგინინი არის ამინომჟავა, რომელიც დიდი რაოდენობით ესაჭიროება ორგანიზმს. ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენეს, რომ L-არგინინი ზრდის სპერმატოზოიდების რაოდენობას და აუმჯობესებს მათი მოძრაობის უნარს.

კოენზიმ Q-10 აუმჯობესებს მამაკაცის შვილოსნობის უნარს სპერმატოზოიდების რაოდენობის ზრდისა და მათი მოძრაობის უნარის გაუმჯობესების მეშვეობით.

ვიტამინი E აუმჯობესებს სპერმატოზოიდების მოძრაობას და ზრდის მათ უნარს შეადწინონ კვერცხუჯრედში

თუთია ანტიოქსიდანტია. ის არის ნივთიერება, რომელიც ბოჭავს თავისუფალ რადიკალებს. ეს მიკროელემენტი ზრდის სპერმატოზოიდების კონცენტრაციას და ასევე სწრაფად ზრდის მოძრაი სპერმატოზოიდების რაოდენობას ტესტოსტერონის დონესთან ერთად (რაც ესოდენ აუცილებელია სპერმატოზოიდების მომწიფებისათვის)

ფოლიუმის მჟავა განსაკუთრებულ როლს თამაშობს ადამიანის ორგანიზმში უჯრედების ზრდისა და დაყოფის პროცესში (ჰემოპოეზში), ისევე როგორც ნერვულ მეტაბოლიზმში. ის კარდიოვასკულარულ სისტემასაც იცავს. ამ ვიტამინის პოზიტიური ზემოქმედება სპერმის ხარისხზე კარგადაა ცნობილი.

გლუტატიონი და სელენი წარმოადგენენ უაღრესად აქტიურ და ეფექტურ რადიკალების “მწმენდავებს”. გლუტატიონი და

სელენი მნიშვნელოვნად აუმჯობესებენ სპერმატოზოიდების მოძრაობას, რაც დადასტურებულია მრავალი კვლევიით.

პროფერტილის მიღების წესი

კაფსულები: მიიღეთ ორი კაფსულა ერთჯერ დღეში ჭამის შემდეგ.

პრეპარატის მიღების ხანგრძლივობა არ უნდა იყოს სამ თვეზე ნაკლები რათა უზრუნველყოფილი იქნას სპერმატოგენეზის ყველა ფაზის ოპტიმიზაცია. თუმცა პროფერტილის გამოყენება ყველა შემთხვევაში სასურველია გაგრძელდეს ქალის დაორსულებამდე. დამატებითი კითხვებისათვის გთხოვთ მიმართოთ მეურნად ექიმს ან ფარმაცევტს.

გვერდითი ეფექტები

არ გამოვლენილა არცერთ კლინიკურ კვლევაში.

აუცილებელი ინფორმაცია

პრეპარატის მიღების პროცესი ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ უნდა მიმდინარეობდეს. გთხოვთ აუცილებლად გაიარეთ კონსულტაცია მეურნად ექიმთან პრეპარატის მიღების დაწყების წინ ან რაიმე ცვლილების დროს პროფერტილით მეურნადობის სქემაში.

მოარიდეთ ბავშვებს.
შეინახეთ გრილ და მშრალ ადგილზე.

ვეგი-კაფსი: კაფსულების მასალა დამზადებული მცენარეული ნედლეულიდან (ცელულოზა). თავისუფალია ცხოველური ნივთიერებებისაგან და უვნებელია.

გამოშვების ფორმა და შეფუთვის ზომა

პროფერტილი კაფსულებში: შეფუთვაში 60 კაფსულა (ერთთვიანი მეურნადობისათვის) და შეფუთვაში 180 კაფსულა (სამთვიანი მეურნადობისათვის)

დისტრიბუცია

ექსკლუზიური წარმომადგენელი საქართველოში - შპს “ელელგრუპ”

ტელ:

+ 995 32 2238107
+ 995 599 758525
+ 995 591 900347

ელ ფოსტა: info@llgroup.ge

www.llgroup.ge
www.profertil.eu

მწარმოებელი

Lenus Pharma GesmbH

ქვენა/ავსტრია
წარმოებულია ევროკავშირში

პატენტის სარეგისტრაციო ნომერი

503.219 (Austria)
1 978 949 (European)
015422 (Eurasian)